საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№205 ბ 20 ბ რ ძ ა ნ ე ბ ა 11-11. 2022 წ.

MES 3 22 0001442733

11/11/2022

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მიღების გამოცხადების, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადების დადგენის, აპლიკანტთა შერჩევის თარიღის განსაზღვრის, ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აპლიკანტების მიერ საბუთების წარმოდგენის ვადის განსაზღვრის, ჩარიცხვის თარიღის, პროფესიული მომზადების/გადამზადების ელექტრონულ პორტალზე პროგრამებზე ჩარიცხულ მსმენელთა რეგისტრაციის ვადებისა და სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 10.04.2019 წლის №71/ნ ბრძანების „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 13.07.2022 წლის №799302 გადაწყვეტილების, „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“, გათვალისწინებით, ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მიღება პროფესიული გადამზადების პროგრამაზე „ლაბორატორიული ჯანმრთელობა და უსაფრთხოება“.

2. აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადად განისაზღვროს 14.11.2022-დან 17.11.2022-ის ჩათვლით.

3. აპლიკანტთა შერჩევის თარიღად განისაზღვროს 2022 წლის 19 ნოემბერი.

4. აპელაციის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 19-21 ნოემბერი.

5. ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აპლიკანტების მიერ საბუთების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2022 წლის 21-23 ნოემბერი

6. ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აპლიკანტების პროგრამაზე ჩარიცხვა განხორციელდეს არაუგვიანეს 24 ნოემბრისა

7. განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში (vet.emis.ge) რეგისტრაციის ვადები (10.04.2019 წლის №71/ნ ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად) განისაზღვროს 24.11.2022 წლის ჩათვლით.

8. პროფესიული გადამზადების პროგრამაზე "ლაბორატორიული ჯანმთელობა და უსაფრთხოება" სასწავლო პროცესი განხორციელდეს 2022 წლის 25 ნოემბრიდან

9. კანცელარიამ (ე.ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა (თ.ვალიშვილი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი როლანდ კოპალიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესიული განათლების ცენტრი
პროფესიული განათლების მენეჯერი
ოკრიბელაშვილი გიორგი